საფარი SAPARI

# საფარი 2023

## წლის შეჯამება

საფარი უკვე 23 წლის ორგანიზაციაა, ჩვენ 23 წელია ვიცავთ მოწყვლადი ჯგუფების უფლებებს, ვაძლიერებთ ქალებს და ვიცავთ ბავშვებს. ვზრუნავთ ისეთი მომავლის შექმნისთვის, სადაც ყველა მოქალაქე თანაბარი შესაძლებლობებით ისარგებლებს.

**1492** სამართლებრივი კონსულტაცია გავწიეთ.

**601** საქმე ვაწარმოეთ სასამართლოში

დავასრულეთ **160** საქმე, აქედან

**116 -** ჩვენთვის სასურველი შედეგით.

სამართლიან არჩევნებთან ერთად, 375 ქალი კოორდინატორი საკუთარი უფლებების შესახებ დავატრენინგეთ.

# სამართალწარმოება



ახალციხეში მცხოვრებ დედას, რომელსაც 3 წლის განმავლობაში არ აძლევდნენ უფლებას შვილები ენახა, სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე, მედიაციის პროცესით დავეხმარეთ და ის შვილებს შევახვედრეთ.

წელს, საფარის პრაქტიკაში პირველად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩადენილი ოჯახში ძალადობის დანაშაულისთვის პირი საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე დააკავეს და ამჟამად წინასწარ პატიმრობაში იმყოფება.

## 2023 წელს

სასამართლოში 601 საქმე ვაწარმოეთ, საიდანაც 160 უკვე დავასრულეთ, აქედან 116 - ჩვენთვის სასურველი შედეგით. 441 საქმის განხილვა გრძელდება, 44 საქმის წარმოება კი სხვადასხვა მიზეზებით შეწყდა.

# საერთაშორისო სამართალწარმოება

წელს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გავგზავნეთ ნინოწმინდის პანსიონის ყოფილი ბენეფიციარების მიმართ არაადამიანური მოპყრობის და 2021 წელს პრაიდის კვირეულის მიმდინარეობისას ლგბტქ+ თემის წევრების მიმართ განხორციელებული დევნისა და ძალადობის საქმეები. აღნიშნულ საქმეებზე ადგილობრივი გამოძიება დღემდე არ არის ბოლომდე მიყვანილი და არაეფექტურია.

2023 წელს ხანუმ ჯეირანოვას საქმეზე ბრალდებულ 4 კაცს სასამართლომ 5 წლითა და 6 თვით თავისუფლებას აღკვეთა მიუსაჯა, ხოლო მეხუთე ბრალდებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ერთხმად ცნო დამნაშავედ და 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. ხანუმ ჯეირანოვას შვილებს კი გადაეცათ კომპენსაცია - 100,000 ლარი.

# საერთაშორისო კონფერენციები და ვიზიტები:

*2023 წელს მოვამზადეთ დოკუმენტი ევროკავშირის 12 პრიორიტეტის შესრულების შესახებ, სადაც მიმოვიხილეთ მე-9 (გენდერული თანასწორობა და ქალთა მიმართ ძალადობა) და მე-12 (დამოუკიდებელი სახალხო დამცველი) პრიორიტეტების შესრულების საკითხი.*



*პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად წელს ალტერნატიული ანგარიში წარვუდგინეთ გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს* **(CEDAW)** *და ამავე კომიტეტის რიგით 84-ე სესიაზე, სიტყვით გამოვიდა “საფარის” აღმასრულებელი დირექტორი, ბაია პატარაია, რომელმაც სქესობრივ დანაშაულებზე, ფემიციდზე, თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების საჭიროებაზე, ქალთა მიმართ ეკონომიკური ძალადობასა და ქალების პოლიტიკური წარმომადგენლობაზე გაამახვილა ყურადღება.*

# კვლევები:

## ქალი კოორდინატორების კვლევა




წელს “სამართლიან არჩევნებთან” ერთად ქალი კოორდინატორების გამოწვევები გამოვიკვლიეთ. კვლევამ გვიჩვენა, რომ ქალი კოორდინატორები ექვემდებარებიან ზეწოლას და სხვადასხვა ტიპის ძალადობას. ხშირად მათ იძულებით რთავენ წინასაარჩევნო აგიტაციაში და ზოგჯერ უკანონო დავალებების შესრულებასაც აიძულებენ. ხშირად ამ ქალებმა არ იციან საკუთარი უფლებების შესახებ. ქალ კოორდინატორებს საკმაოდ მძიმე სამუშაოს გაწევა ხშირად მძიმე სოციალური ფონის გამო უწევთ, მათი ანაზღაურება კი მიზერულია. სამართლიან არჩევნებთან ერთად 375 ქალ კოორდინატორს საკუთარი უფლებების შესახებ ჩავუტარეთ ტრენინგი და ამ საკითხზე ცნობიერების ამაღლების კამპანიით 273,000 ქალს მივწვდით.

## ეკონომიკური ძალადობის კვლევა

წელს დავასრულეთ რაოდენობრივი კვლევა ქალთა მიმართ ეკონომიკურ ძალადობაზე კახეთსა და აჭარაში. ეს პირველი რაოდენობრივი კვლევაა, რომელიც საფუძვლიანად სწავლობს ეკონომიკური ძალადობის გავრცელებას საქართველოში. კვლევამ აჩვენა, რომ ყოველი მეოთხე ქალი ერთხელ მაინც ყოფილა პარტნიორის მხრიდან ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი. კვლევამ გვიჩვენა, რომ ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებული ქალები ბევრად მძიმე მდგომარეობაში არიან და ქალებს ეკონომიკური ძალადობის ზოგიერთი ფორმის ამოცნობა უჭირთ, ამიტომ ცნობიერების ამაღლების კამპანია წამოვიწყეთ, რომლის საშუალებითაც 225,129 ქალს ავუხსენით ეკონომიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმები. პროექტს, სახელწოდებით “გენდერი დემოკრატიისთვის - გენდერული სამართლიანობის გაძლიერება საქართველოში, უკრაინასა და დანიაში”, დანიის გენდერისა და თანასწორობის კვლევის ცენტრის (KVINFO) მხარდაჭერით ვახორციელებთ.



# ახალგაზრდული პლატფორმები

2023 წელს კერძო სექტორის დახმარებით მასშტაბურად აღვნიშნეთ გოგონების საერთაშორისო დღე თბილისში, სადაც მთელი საქართველოდან 100-ზე მეტი გოგო შევკრიბეთ. გოგონების დღის მთავარ თემად წელს “ციფრული თაობა. ჩვენი თაობა” შევარჩიეთ და რამდენიმე მონაწილე ციფრული განათლების კურსით დავასაჩუქრეთ.




## საფარის წიგნის კლუბი

ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის 6 სოფელში გავხსენით წიგნის კლუბები, რომლებიც 50-ზე მეტ ახალგაზრდას აერთიანებს.



# ქალთა მოძრაობა




## 8 მარტი

ქალთა მოძრაობასთან ერთად საფარი ყოველ წელს აქტიურადაა ჩართული 8 მარტის აღნიშვნაში. 2023 წელს გვინდოდა თანხმობის მნიშვნელობაზე და სქესობრივი დანაშაულების რეფორმაზე გაგვემახვილებინა ყურადღება, თუმცა, “რუსული კანონის” პირველი მოსმენით მიღებამ გეგმები შეგვიცვალა და ჩვენც რუსული კანონის წინააღმდეგ საერთო ბრძოლას შევუერთდით. 8 მარტს ქალების მასშტაბური მარში ჩავატარეთ თბილისსა და საქართველოს 10 ქალაქში. ამ გამოსვლებში მკაფიოდ ვთქვით, რომ ქალები არ დავთმობთ წლების განმავლობაში ბრძოლით მოპოვებულ უფლებებს და ხელისუფლებას ტოტალური კონტროლის დამყარების საშუალებას არ მივცემთ.




© ვახო ქარელი/ფორმულა

# ქალთა მოძრაობა

## დავასრულოთ ბავშვთა ქორწინება!



### 25 ნოემბერი

წელს, 25 ნოემბერი, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის დღე, დავუთმეთ ბავშვთა ქორწინების პრობლემას და სახელმწიფოს მოვუწოდეთ დროულად და ეფექტურად იმოქმედოს. შევქმენით ბავშვთა ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლის სამუშაო ჯგუფი, ამ ჯგუფთან ერთად კი კონფერენცია ჩავატარეთ, სადაც მოვითხოვეთ აიკრძალოს ბავშვთა ნიშნობა და ბავშვთა ქორწინება განისაზღვროს ბავშვზე ძალადობად. იმავე მოთხოვნით, 25 ნოემბერს, პარლამენტის წინ, ქალთა მოძრაობასთან ერთად, დავაორგანიზეთ პერფორმანსი, რომლითაც ვაჩვენეთ, რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბავშვთა ქორწინების პრობლემის გადასაჭრელად სახელმწიფო უწყებების გამართულ მუშაობას.



საფარი
SAPARI

# მადლობა ყველა პარტნიორსა და დონორს საფარის მხარდაჭერისთვის

